

საბჭოთა რუსეთის ფინანსური დაზვერვის საიდუმლო ოპერაცია - 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის უცნობი დეტალები

The Secret Operation of Soviet Russia's Financial Intelligence Service - Unknown Facts of the Russian-Georgian War of 1921

ავტორი: ნიკოლოზ სეფიაშვილი

Author: Nikolozi Sepiashvili

კვლევა შესრულებულია საქართველოს ეროვნული არქივის მხარდაჭერით

The research is conducted with the support of the National Archives of Georgia

2022



შინაარსი | Contents

წინათქმა Preface	3
შესავალი	4
საბჭოთა რუსეთის ფინანსური დაზვერვის საიდუმლო ოპერაცია	11
დასკვნა	27
ქართული სპეცსამსახურების "ვენდეტა" საქართველოს გასაბჭოებიდან მეხუთე წელს	29
ბიბლიოგრაფია	31
Introduction.....	33
Secret Operation of the Financial Intelligence of Soviet Russia.....	38
Conclusion	50
"Vendetta" of the Georgian Secret Services in the Fifth Year of the Occupation of Georgia by Soviet Russia.....	52
Bibliography	54
დანართები Appendices:	56

წინათქმა | Preface

აღნიშნულ კვლევაში პირველად იქნება განხილული საბჭოთა რუსეთის სადაზვერვო უწყებების მიერ განხორციელებული მასშტაბური ფულის გაყალბება-გასაღების საიდუმლო სპეცოპერაცია, რომლის მიზანიც იყო სამხედრო მოქმედებების პარალელურად საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკის პარალიზება. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პირველ სამეცნიერო ნაშრომს, სადაც საუბარი იქნება 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დღემდე უცნობ დეტალებზე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებულ მასშტაბურ ფინანსურ დანაშაულზე.

ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია სპეციალური დანართები.

კვლევა შესრულდა საქართველოს ეროვნული არქივის მხარდაჭერით.

For the first time, the study will discuss the large-scale counterfeit money laundering operation carried out by Soviet Russia's financial intelligence service against the Georgian economy. The original plan of the secret operation was to drop the forged Georgian banknotes over the country in order to cause the economy to collapse during the Russian-Georgian war in 1921.

The study is the first research article that discusses the up to now unknown details of the Russo-Georgian War of 1921 and the large-scale financial crimes committed by Soviet Russia against the Georgian Democratic Republic.

The additional appendices are presented at the end of the article.

The study was carried out with the support of the National Archives of Georgia.

შესავალი

ომების მიმდინარეობისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგის ეკონომიკურ პოტენციალს. ფინანსური კრიზისის გამოწვევით მცირდება მოწინააღმდეგე ქვეყნის ეკონომიკური ეფექტიანობა, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახება მის სამხედრო მზადყოფნაზე, თავდაცვითუნარიანობაზე. სწორედ ამიტომ ათასწლეულების განმავლობაში მრავალი სახელმწიფო სამხედრო ოპერაციების პარალელურად აქტიურად აწარმოებდა "ეკონომიკურ ომსაც"¹ მოწინააღმდეგე ქვეყანასთან, რაც გამოიხატებოდა: ოპონენტი სახელმწიფოს ეკონომიკურ ბლოკადაში, სტრატეგიული სავაჭრო ობიექტებისა თუ გზების გაკონტროლებაში, სპეკულანტებისა და აგენტების მიზანმიმართული საქმიანობის ხელშეწყობაში, ხელოვნური ეკონომიკური კრიზისისა და დესტაბილიზაციის გამოსაწვევად და ა.შ.

შესუსტებული ეკონომიკა იწვევს ქვეყანაში წარმოების მოშლასა და სახელმწიფო უწყებების არასტაბილურ მუშაობას, რაც ყველა სხვა მრავალ თანმდევ ფაქტორთან ერთად ნეგატიურად აისახება მოცემული სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანობაში.

"ეკონომიკური ომის" წარმოების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს მოწინააღმდეგე ქვეყანაში ინფლაციის დონის მკვეთრი ზრდის ხელოვნურად გამოწვევა. ერთ-ერთი მეთოდი, რითიც შესაძლებელია ოპონენტ სახელმწიფოში ხელოვნურად ინფლაციის დონის მკვეთრი ზრდა, არის დიდი რაოდენობით მოცემული სახელმწიფოს ყალბი ბანკნოტების გამოშვება და მისი გავრცელება მოსახლეობაში.

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გახმაურებული ფულის მიზანმიმართული გაყალბების ოპერაცია ცნობილია "ოპერაცია ბერნჰარდის" (Operation Bernhard) სახელით. მეორე მსოფლიო ომის დროს, ნაცისტურ გერმანიაში, შემუშავდა საიდუმლო ოპერაცია დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკების დესტაბილიზაციისათვის, რომლის განხორციელებაც დაევალა მესამე რაიხის უშიშროების სამსახურს, სდ-ის. (მესამე რაიხის უშიშროების სამმართველოს სადაზვერვო სამსახური - "სდ" – SicherheitsDienst - SD).

გეგმის მიხედვით უნდა დაბეჭდილიყო მილიონობით ყალბი ბრიტანული გირვანქა სტერლინგი, რომლის მასობრივად გასაღებაც გამოიწვევდა ქვეყნის ეკონომიკურ დესტაბილიზაციას. მოგვიანებით სდ-ის სამსახურის მიერ ასევე დაიგეგმა აშშ-ს

¹ "ეკონომიკური ომი" - პირობითად ასე ვუწოდოთ მიზანმიმართულ პროცესს, რომლის მთავარი ამოცანაა სამხედრო ოპერაციების პარალელურად მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ეკონომიკური პოტენციალის დასუსტება და შიდა დესტაბილიზაციის გამოწვევა.

დოლარის კუპიურების გაყალბებაც.² ჭარბად გამოშვებული ყალბი ფულის მასა მოახდენდა აღნიშნული ქვეყნების ეროვნული ვალუტის ღირებულების გაუფასურებას, რაც თავის მხრივ ნეგატიურ გავლენას იქონიებდა ქვეყნების ინფლაციის დონეზე. ინფლაციის ზრდა კი გამოიწვევდა შესაბამის თანმდევ ეკონომიკურ პრობლემებს.

სპეცოპერაციის მსვლელობისას დაახლოებით 134 მილიონი ფუნტი სტერლინგის ნომინალური ღირებულების ყალბი ბანკნოტები იქნა დამზადებული გერმანიაში.³

როგორ გავლენას ახდენს ფულის დიდი რაოდენობით გაყალბება-გასაღების პროცესი ქვეყნის ეკონომიკაზე?

ჩემი მსჯელობა შეეხება მე-20 საუკუნის დასაწყისში არსებულ მონეტარულ სისტემას, რომელიც დაფუძნებული იყო ოქროს სტანდარტზე, სადაც ფულის მასის ძირითად ნაწილს შეადგენდა ნაღდი ფული, შესაბამისად ჭარბი რაოდენობით ყალბი ფულის დაბეჭდვა და მისი სამომხმარებლო მასაში გავრცელება გამოიწვევდა ქვეყანაში არსებულ პროდუქტებზე მომენტალურად ფასების ზრდას რაც თავის მხრივ გადაითარგმნებოდა ინფლაციის ზრდაში.


უფრო კონკრეტულად კი, როდესაც გამოშვებული ფულის მასის ზრდა არ არის თანხვედრაში ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) ზრდის მაჩვენებელთან (Real GDP Growth Rate) აღნიშნული პროცესი იწვევს ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის დაქვეითებას, რაც თავის მხრივ იწვევს სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების მატებას. პროდუქციაზე ფასების მატება კი იწვევს ინფლაციის დონის ზრდას ქვეყანაში.

მკვეთრად გაზრდილი ინფლაცია (ჰიპერინფლაცია) აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ქმნის ფინანსურ კრიზისს ქვეყანაში, აუარესებს ბიზნეს გარემოს და ქმნის არასტაბილურ სიტუაციას, რაც კიდევ უფრო მწვავედება საომარი ვითარების დროს, როდესაც ქვეყანაში გაზრდილია სამხედრო-ადმინისტრაციული ხარჯები და ქვეყნის სრული ფინანსური რესურსები მიმართულია შეიარაღებაზე.

² Kevin C. Ruffner; "On the Trail of Nazi Counterfeiters"; აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო ბიურო. https://www.cia.gov/readingroom/docs/DOC_0005548952.pdf

³ იხილეთ იგივე წყარო.

თვალთახედვისთვის, მოვიყვანოთ ერთობილი მოთხოვნა - მიწოდების (AD-AS-ის) მარტივი ეკონომიკური მოდელი, რომელიც დაგვანახებს ინფლაციისა და ფულის მასის ურთიერთკავშირს:



მოცემული გრაფი 1.1 ასახავს ერთობლივი მოთხოვნა - მიწოდების ურთიერთქმედებას, გამოხატულს პროდუქციის ფასებისა და რეალური მშპ-ს მიხედვით.

გრაფზე დატანილი აღნიშვნები:

- Real GDP - აღნიშნავს ქვეყნის რეალურ მშპ-ს;
- PL (Price Level) - აღნიშნავს ქვეყანაში ზოგადად არსებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე დაწესებულ ფასის დონეს;
- Y₁-აღნიშნავს რეალური მშპ-ს დონეს;
- AD₁ (Aggregate Demand) - ერთობლივი მოთხოვნა ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე ფულის რაოდენობის მასის გაზრდამდე;
- AD₂ - ერთობლივი მოთხოვნა ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე ფულის რაოდენობის მასის გაზრდის შემდეგ;
- SRAS_i (Short-Run Aggregate Supply) - მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდება ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე ფულის რაოდენობის მასის გაზრდამდე;

- SRAS₂ - მოკლევადიანი ერთობლივი მიწოდება ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე ფულის რაოდენობის მასის გაზრდის შემდეგ;
- LRAS (Long-Run Aggregate Supply) - გრძელვადიანი მიწოდება ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე.

ზოგადად, როდესაც ქვეყანაში ფულის მასა (Money Supply) მკვეთრად იზრდება, რაც როგორც წესი გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ ფულის დიდი რაოდენობით დაბეჭდვით, აღნიშნული პროცესი იწვევს ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთის (Interest Rate) კლებას, რაც იწვევს ერთობლივ მოთხოვნაში (AD-ში) შემავალი მნიშვნელოვანი კომპონენტების, საქონლისა და მომსახურების მოხმარების (Consumption) და ინვესტიციების (Investment) ზრდას, რის შედეგადაც იზრდება ერთობლივი მოთხოვნა (AD), ასევე პარალელურად იზრდება ერთობლივი მიწოდებაც მოკლე პერიოდში (SRAS)⁴, ხოლო შემდგომ ეკონომიკურ გრძელ პერიოდში ხდება მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობაში მოქცევა.

აღნიშნული პრინციპით აღიწერება ფულის მასის ზრდისა და მოთხოვნა-მიწოდებისა და პროდუქციაზე არსებული ფასების ურთიერთქმედება, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში საუბარი არ არის უბრალოდ ფულის მასის მკვეთრ ზრდაზე, არამედ საუბარია ყალბი ფულის დიდ რაოდენობაზე, რაც განსხვავებული შემთხვევაა და განსხვავებულ ეკონომიკურ ანალიზს საჭიროებს.

სწორედ ამიტომ, განვიხილავ რამდენიმე ფაქტორს, რაც იწვევს ქვეყანაში ჰიპერინფლაციას, ყალბი ბანკნოტების შემოდენის შემთხვევაში. კონკრეტულად საუბარი იქნება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოსულ ყალბ ფულზე მოსახლეობასა და კერძო სექტორს არ აქვს ინფორმაცია.

როდესაც სახელმწიფოში შემოდის დიდი რაოდენობით ყალბი ფული, იზრდება ფულის მასა, რაც თავის მხრივ ამცირებს ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობას. ფულის გაუფასურების შედეგად მომენტალურად იზრდება ფასები პროდუქციაზე.

წარმოდგენილ გრაფზე ვისაუბრებ ეკონომიკის მოკლევადიან პერიოდზე, რადგან ყალბი ბანკნოტებით მოწინააღმდეგე ქვეყნის "დაბომბვა" ხორციელდება მოკლე პერიოდის მანძილზე, სამხედრო მოქმედებების პარალელურად.

⁴ ეკონომიკაში მოკლე პერიოდად მიჩნეულია 1 წლამდე არსებული დროის მონაკვეთი, შესაბამისად ეკონომიკური გრძელი პერიოდია 1 წელზე მეტი დროის მონაკვეთი.

წარმოდგენილ გამარტივებულ ეკონომიკურ მოდელში, 1.1 გრაფზე ყალბი ფულის დიდი რაოდენობით შემოდენის შედეგად ვხედავთ რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან ერთად იზრდება მოსახლეობის მოთხოვნა საქონელსა და ფულზე, რაც იწვევს AD_1 გრაფიკის გადაადგილებას AD_2 -ის მიმართულებით, ასევე გადაადგილდება მიწოდებაც, რომელიც დროთა განმავლობაში მცირდება $SRAS_1$ -ი გრაფიკიდან $SRAS_2$ -ის მიმართულებით.

ერთობლივი მიწოდების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად უნდა დასახელდეს ინფლაციის დონის მკვეთრი ზრდისა და სამომხარებლო ფასების ზრდის შედეგად ფირმებისა და კომპანიებისთვის წარმოების დანახარჯების გაზრდა. როდესაც ქვეყანაში პროდუქციაზე ფასები მკვეთრად მატულობს, საწარმოებსაც ეზრდებათ საკუთარი დანახარჯები, რის გამოც ადგილობრივი წარმოება იწყებს შემცირებას.

საბოლოოდ კი, მოთხოვნა-მიწოდების წონასწორული წერტილი გადაადგილდება **A**-დან **B** წერტილის მიმართულებით. სამომხარებლო ფასები იზრდება P_1 -იდან P_2 -ამდე მოკლე პერიოდში, ხოლო ქვეყანაში არსებული რეალური მშპ-ს დონე უცვლელი რჩება.

ფაქტიურად ვიღებთ, რომ დიდი რაოდენობით ყალბი ფულით მსხვერპლი სახელმწიფოს "დაბომბვა" იწვევს პროდუქციაზე ფასების მკვეთრ ზრდას, რეალური მშპ-ს დონის შეუცვლელად.

ჰიპერინფლაცია სწორედ მაშინ იჩენს თავს როდესაც ქვეყანაში არსებული ფულის მასა არ არის თანხვედრაში ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ს) ზრდის მაჩვენებელთან და როდესაც ქვეყანაში არსებული ფასების დონე მკვეთრად იზრდება.

ამგვარად, დიდი რაოდენობით ყალბი ფულის შემოდენა ქვეყანაში იწვევს არსებულ პროდუქციაზე ფასების ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს ინფლაციასა და თანმდევ ნეგატიურ ეფექტებს.

სამიზნე ქვეყნის ეკონომიკის დიდი რაოდენობით ყალბი ბანკნოტებით "დაბომბვა" იწვევს ქვეყანაში არსებული ბიზნეს საქმიანობის, სავაჭრო ურთიერთობის მოშლას. ხოლო გრძელვადიან ეკონომიკურ პერიოდში კი ქვეყანაში ყალბი ფულების შემოდენის შეუწყვეტლობის შემთხვევაში მოსახლეობას ეკარგება ნდობა ეროვნული ვალუტის მიმართ, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად აქვეითებს ეროვნული ფულის მსყიდველუნარიანობას და ხელს უწყობს ინფლაციის ზრდას. გაზრდილი ფასები ამცირებს ერთობლივ მიწოდებას, გაზრდილი დანახარჯების გამო ადგილობრივი კომპანიები ამცირებენ საკუთარ წარმოებას.

რომ შევაჯამოთ, სამიზნე ქვეყანაში ყალბი ფულის მასობრივად შემოდენა და მისი სამომხმარებლო მასაში წარმატებულად გავრცელება იწვევს ეკონომიკის სრულ პარალიზებას, რაც ეკონომიკის განადგურებასთან ერთად იწვევს აღნიშნული სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვისუნარიანობის მოშლასაც. სამხედრო ოპერაციების პარალელურად "ეკონომიკური ომის" წარმოება წარმოადგენს ძალიან მძლავრ და ეფექტურ იარაღს.

სწორედ აღნიშნული პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1929 წელს ერთა ლიგის მიერ გამოიცა საერთაშორისო კონვენცია N-2623: "საერთაშორისო კონვენცია ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", რომლის მიხედვითაც ოფიციალურად საერთაშორისო დონეზე დაიგმო ვალუტის გაყალბება და კიდევ ერთხელ საერთაშორისო დონეზე მიენიჭა აღნიშნულ საქმიანობას კრიმინალის სტატუსი.⁵

როგორც უკვე ითქვა, თანამედროვე მსოფლიოში ფულის გაყალბება ითვლება საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთ უმძიმეს ფინანსურ დანაშაულად (Financial Crime).

ნებისმიერ სახელმწიფოში არსებობს შესაბამისი ფინანსური დაზვერვის სამსახური (Financial Intelligence) რომელიც პასუხისმგებელია ფულის გაყალბების ოპერაციების გამომავლარავება-აღკვეთაში.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს FinCEN - Financial Crimes Enforcement Network, აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური საგამომიებო ბიურო, რომელიც ებრძვის სხვადასხვა სახის ფინანსურ დანაშაულებებს, მათ შორის ფულის გაყალბების ოპერაციებს.⁶

საქართველოში ფინანსური დანაშაულებების აღკვეთა-გამომავლარავებაში მონაწილეობს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური⁷ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური.⁸

⁵ გაეროს ხელშეკრულებების კრებული

<https://treaties.un.org/pages/LONViewDetails.aspx?src=LON&id=559&chapter=30&clang=en>

⁶ აშშ-ს ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის სააგენტოს შესახებ

<https://www.fincen.gov/about/mission>

⁷ სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესახებ

<https://www.fms.gov.ge/geo/page/about>

⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის შესახებ

http://is.ge/ka-ge/About_Us/Investigation_Service

რიგ შემთხვევებში ნაციონალური ან საერთაშორისო მასშტაბის ფინანსური დანაშაულის გამოსაძიებლად შესაბამის საგამოძიებო უწყებებთან ასევე მჭირდოდ თანამშრომლობენ მოცემული ქვეყნების ცენტრალური ბანკები.

ასევე საგულისხმოა ითქვას, რომ ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელობიდან გამომდინარე 1995 წელს შეიქმნა სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური დაზვერვების გაერთიანება - ეგმონტის ჯგუფი (Egmont Group), რომლის ძირითადი მიზანია სხვადასხვა სახელმწიფოს ფინანსური მონიტორინგის უწყებებს შორის თანამშრომლობის კოორდინაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა. ამჟამად ეგმონტის ჯგუფში 166 ქვეყნის ფინანსური დაზვერვის უწყებაა გაერთიანებული.⁹

⁹ ეგმონტის ჯგუფის შესახებ
<https://egmontgroup.org/en>

საბჭოთა რუსეთის ფინანსური დაზვერვის საიდუმლო ოპერაცია

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ყოველთვის მწვავე პრობლემას წარმოადგენდა ფულის გაყალბებასთან ბრძოლა. ფულის გაყალბება ითვლებოდა სპეკულაციის ერთ-ერთ სახეობად. სპეკულაციასთან ბრძოლა მიზარებული ჰქონდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის სპეციალურ დანაყოფს - საგანგებო რაზმს. საგანგებო რაზმი შედიოდა დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში, რომელსაც მეთაურობდა მელქისედეკ (მექი) კედია.¹⁰

საგანგებო რაზმი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობების პარალელურად ითავსებდა ფინანსური დაზვერვის სამუშაოებსაც, რასაც საკმაოდ ეფექტურად ართმევდა თავს.

მაგალითისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს 1920 წლის ანგარიშის მიხედვით, მთელი წლის განმავლობაში საგანგებო რაზმმა გამოააშკარავა და დააპატიმრა ყალბი ფულისა და საბუთების დამამზადებელი 33 პირი.¹¹

ქართული ნაციონალური ფულადი ერთეულის - ბონის (მანეთის) ლოკალურ გაყალბებას ჰქონდა რიგი გამომწვევი ფაქტორები:

- 1) ქართული ბონი იყო ყველაზე მყარი ვალუტა ამიერკავკასიის რეგიონში, რომელიც მიიღებოდა რუსული რუბლისა და ამერიკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის ბონის პარიტეტული კურსით. ქართულ ბონზე გაზრდილი მოთხოვნილების შესაბამისად იზრდებოდა სპეკულანტთა ინტერესიც, მისი გაყალბებით ფინანსური სარგებლიანობის მისაღებად.
- 2) პირველ პუნქტში ნახსენები მიზეზიდან გამომდინარე ქართული ბონი თავისუფლად მიმოიქცეოდა სომხეთისა და აზერბაიჯანის, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში - ჩრდილოკავკასიის ემირატის ტერიტორიაზე. აღნიშნული გარემოებაც ზრდიდა სპეკულანტთა ყურადღებას ქართული მანეთის გასაყალბებლად.
- 3) ქართული ფული 1921 წლამდე იბეჭდებოდა უხარისხო, უდამცავნიშნო ქაღალდზე. მხოლოდ 500 და 1000 მანეთის ნომინალის ქართული ბონების მცირე პარტია დაიბეჭდა რუსეთის იმპერიიდან შემორჩენილ დამცავნიშნიან ქაღალდზე, ე.წ. „ჰორიზონტალური რომბებით“ გაფორმებულ ფილიგრანზე. ფაქტიურად 1921 წლამდე არანაირ ტექნიკურ სირთულეს არ წარმოადგენდა

¹⁰ დიმიტრი სილაქაძე; „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედიკალური ლექსიკონი“, თბილისი, 2018 წ., გვ. 86.

¹¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში სცსა), ფ. №1863, ად.1, ს. 543, ფურც. 1

სპეკულანტებისათვის შესაბამისი საბეჭდი დაზგების დამზადება და კუსტარულად ქართული ბანკნოტების დაბეჭდვა.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად 1919 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობამ დაადგინა ქვეყანაში ჭვირნიშნიანი ფულის საბეჭდი ქალაქის დიდი რაოდენობით შემოტანის აუცილებლობა.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის, კონსტანტინე კანდელაკის, 1919 წლის 13 დეკემბრის მოხსენებაში ვკითხულობთ: „სახელმწიფო ქალაქების დამამზადებელ ექსპედიციას მალე გამოეღევა ქალაქი... თუ ახლავე არ მივიღეთ სათანადო ზომები და არ დავამზადებთ მასალა, დავრჩებით ფულის ნიშნებს მოკლებული... საჭირო რაოდენობა სპეციალური ქალაქისა სამი მილიარდი მანეთის დასამზადებლად უდრის 590.000 ფურცელს, ღირებულება კი 1 მილიონ 200 ათას იტალიურ ლირას... ჩვენს ბონზედ ეს ჯამი შეადგენს 24 მილიონს დღევანდელი კურსით“.¹²

იტალიიდან საქართველოში დამცავნიშნიანი საბეჭდი ქალაქის ჩამოტანას საქართველოს მთავრობის მიერ იტალიაში წარმომადგენლად გაგზავნილი ნიკოლოზ ჯაყელი კურირებდა.¹³

გაფორმდა ხელშეკრულება იტალიის სააქციო საზოგადოება „არისტიდ სტადერინის“ პიეტრო მილანის ფაბრიკასთან საქართველოს რესპუბლიკისთვის სპეციალური საბეჭდი ქალაქის მიწოდების შესახებ. იტალიიდან საქართველოში ფილიგრანული ქალაქი 1920 წლის სექტემბერში, ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში პარტიებად შემოვიდა.¹⁴

იტალიიდან საქართველოში შემოსული ფილიგრანული ფულის საბეჭდი ქალაქის დამცავი ნიშნები, ჭვირნიშნები, ვიზუალურად ჩარჩოში ჩასმული ქართული ასოებია: სდრ-ის მხატვრული კომბინაცია (ასოთა წყობა „სდრ“ იმიფრება, როგორც: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა):



¹² ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, თბილისი, 2018 წ., გვ.34

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე.



5000 მანეთის ნომინალის ბონი, დაბეჭდილი ჭვირნიშნიან ქალაღდზე, აბრევიატურით „სდრ“^{15 16}

ქართული ფულის ჭვირნიშნიან ქალაღდზე ბეჭდვას უნდა გადაეჭრა ორი ძირითადი პრობლემა:

1. ქართული ფულის გაყალბების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანა.
2. კარგი ხარისხის ქალაღდით დაბეჭდვისას დროში ფულის ცვეთადობის შემცირება, რაც დამატებითი ფულის მასის გამოშვებასა და მასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ხარჯებს შეამცირებდა.

„როგორც ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკამ დაამტკიცა, ქალაღდის ფულის ნიშნების 30% აღებ-მიცემობაში იცვითება და იკარგება, მით უმეტეს ეს მოსალოდნელია ჩვენში, სადაც ბეჭდვის ტეხნიკა და თვით ქალაღდის ღირსება დაბალ დონეზე სდგას“ - აღნიშნავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი, კონსტანტინე კანდელაკი.¹⁷

¹⁵ ნიკოლოზ სეფიაშვილი, „ერთ ბანკნოტში ჩატეული საქართველოს ისტორია“, თბილისი, 2021 წ., გვ.15

¹⁶ 5000 მანეთის ნომინალის ბონის ვიზუალურად დათვალაიერებისთვის იხილეთ კვლევის ბოლოს მოცემული დანართები.

¹⁷ სცსა. ფ. №1836. აღ. 1 ს. 309 ფურც.1

იტალიიდან ჩამოტანილ სპეციალურ ფილიგრანულ ქალღმერთს საქართველოს რესპუბლიკის მხოლოდ უმაღლესი ნომინალის - 5000 მანეთის ნომინალის ბანკნოტები დაიბეჭდა, რომლის გამოშვებაც სახელმწიფო ქალღმერთის საბეჭდმა ექსპედიციამ 1921 წლის 1 თებერვალს მიღებული სახელმწიფო დეკრეტის საფუძველზე დაიწყო.¹⁸

შესაბამისად, იტალიიდან შემოტანილ ფილიგრანულ ქალღმერთს დაბეჭდილი 5000-მანეთიანი ბონი მეტი გამძლეობითა და კარგი ხარისხით გამოირჩეოდა. ბანკნოტებზე არსებული სპეციალური დამცავი ნიშნები, ჭვირწმნები, კი მის გაყალბებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა უცხო ხელისთვის.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1921 წლამდე, ფულის გაყალბებასთან ბრძოლის ერთადერთ საშუალებას საქართველოს უშიშროების სამსახურის (საგანგებო რაზმის სპეციალური დანაყოფის) ეფექტური მუშაობა და სპეკულაციაზე გამკაცრებული სისხლის სამართლის ნორმები წარმოადგენდა.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით ყალბი ფულის მბეჭდავები ისჯებოდნენ კანონის სრული სიმკაცრით.

1920 წლის 27 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა მსჯავდებულთა სრული ამნისტია, რაც არ შეეხო ფულის გაყალბებისა და სხვა ფინანსური სპეკულაციებისთვის გასამართლებულ პირებს, მეტიც, 1920 წლის 11 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე გაიმართა სხდომა ახალი დეკრეტის დასამტკიცებლად - "დეკრეტი ყალბი საკრედიტო ქალღმერთის დამზადების დანაშაულობისათვის პასუხის გების გაძლიერებისა".¹⁹ მომდევნო დღეებში დეკრეტი დამტკიცდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ, რომელმაც ერთხმად მიიღო დადგენილება, ფულის გამყალბებელთა მიმართ სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელის ზომის - უვადო კატორღის დაწესების შესახებ.

აღნიშნული კანონპროექტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს თუ რაოდენ დიდი ყურადღება ექცეოდა ყალბი ფულის მიმოქცევის აღკვეთას და რამდენად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა აღნიშნული საკითხი საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლებისათვის.

სპეკულაციასთან ბრძოლის კიდევ ერთ ხერხად შესაძლოა ჩაითვალოს იმჟამინდელ მასმედიაში ხშირად გამოქვეყნებული მწვავე პუბლიკაციები:

¹⁸ სცსა. ფ. №1833, აღ. 1, ს. 1202, ფურც. 3.

¹⁹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, „საქართველოს დამფუძნებელი კრება : სხდომის ოქმები : ტომი VII“, თბილისი, 2019 წ., გვ. 398.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოსთან "ეკონომიკური ომი" 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე ერთი წლით ადრე დაიწყო. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა დაამყარა სრული კონტროლი ჩრდილოეთ კავკასიაზე და გააწითლა საქართველოს მეზობელი, სავაჭრო-სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი და სომხეთი. გარდა ამისა, 1920 წლის მაისში მოხდა ლოკალური სამხედრო შეტაკება რუსეთისა და საქართველოს სამხედრო ნაწილებს შორის. 1920 წლის მიწურულს საქართველო აღმოჩნდა სრულ ეკონომიკურ იზოლაციაში, საქართველომ დაკარგა სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორები ჩრდილოკავკასიის ემირატის, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკების გაუქმების სახით.

ეკონომიკურ იზოლაციაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკას 1921 წლის 15 თებერვალს საბჭოთა რუსეთის არმია თავს დაესხა და მის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო.

1921 წლის 24 თებერვალს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გავრცელდა ფინანსთა სამინისტროს მოწოდებები საქართველოს მოსახლეობისადმი, სადაც აღნიშნული იყო რომ ბოლშევიკები ქალაქ კავკაზში (ამჟამინდელ ვლადიკავკაზში) და ქალაქ ნაზრანში ამზადებდნენ აუარებელ ყალბ ქართულ ბანკნოტებს, რომლის შემოდენაც ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე.

ფინანსთა სამინისტრო თავის განცხადებასთან ერთად დეტალურად იძლეოდა ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა გაერჩია საქართველოს მოქალაქეს ნამდვილი, ოფიციალურად გამოშვებული ქართული ბონი, ყალბი, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დამზადებული ბონისაგან:

" ბოლშევიკები ყალბ ბონებს ამზადებენ

თბილისი, თებ. 24. ფინანსთა სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჩვენი მტრების - ბოლშევიკებს მიერ აუარებელი ყალბი ათას მანეთიანი ბონები იბეჭდება კავკაზში²² და ს. ნაზრანში,²³ რომლებსაც სხვადასხვა საშუალებით ეზიდებიან საქართველოსაკენ.

ამ ყალბ ბონების დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: პირველ გვერდზე, სადაც არაბულ ციფრით აწერია 1000 ამ რიცხვის ქვევით ყალბ ბონებზე სწერია: ბონებისათვის პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თავი ქონებით, ხოლო ნამდვილ ბონებზე სწერია:

²² კავკაზი - დღევანდელი ვლადიკავკაზი, ქალაქი ჩრდილოეთ ოსეთში.

²³ ნაზრანი - ქალაქი ინგუშეთში.

მთელი თავისი ქონებით. ამავე გვერდზე ფინანსთა მინისტრის კ. კანდელაკის ხელის მოწერა შემდეგნაირად არის გამოსახული:

ასო კ-ნის ზევით დასმული აქვს წერტილი, ხოლო ნამდვილ ბონზე ასო კ-ნის მარჯვინ ქვევით ასვია წერტილი. მეორე გვერდზე, სადაც რესპუბლიკის ღერბია გამოსახული, ამ ღერბის ქვევით ყალბ ბონზე აწერია: **დაიაჯება** სისხლის სამართლის წესით, ხოლო ნამდვილ ბონზე სწერია: **დაისჯება** სისხლის სამართლის წესით. (სდს)."²⁴

კვლევაში წარმოდგენილია უნიკალური ფოტო-მასალა ყალბი ქართული ბონების, რომელიც იბეჭდებოდა ჩრდილოკავკასიაში, საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ:



ყალბი ბონის ავერსი


²⁴ გაზეთი „ერთობა“, №43, 1921 წ., გვ.2.



ბანკნოტის რევერსი

ყალბი და ნამდვილი ბონების ფოტოებზე დაკვირვებისას ვამჩნევთ ზუსტად იმ განსხვავებებს, რაც მითითებული იყო ფინანსთა სამინისტროს საგანგებო განცხადებაში, კერძოდ:

- ყალბ ბონზე ავერსის მხარეს ვხვდებით დაუსრულებელ სიტყვას - თავი, რომლის მაგივრადაც უნდა ყოფილიყო სიტყვა - თავისი.





ყალბი ბონის ავერსი





ნამდვილი ბონის ავერსი

- ყალბი ბონის ავერსზე ფინანსთა მინისტრის ფაქსიმილესთან არის განსხვავება, კერძოდ, ყალბ ბონზე კ-ს ზევით დატანილი აქვს წერტილი, როდესაც ნამდვილ ბონზე ასო კ-ის მარჯვინ ქვევით ვხვდებით წერტილს:



- ყალბი ბანკნოტის რევერსზე დატანილი სახელმწიფო გერბის ქვემოთ არსებულ ნაწერში არის დაშვებული გრამატიკული უზუსტობა, სიტყვა დაისჯება-ს მაგივრად, წერია დაიაჯება:



ასევე საგულისხმოა ითქვას, რომ კონკრეტულად აღნიშნულ გაყალბებულ ქართულ ბონს რევერსზე დატანილი აქვს საბჭოთა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ბეჭედი და თარიღი - 25 აგვისტო 1922 წლის, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის შემდგომ, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მოსახელობაში გავრცელებული ყალბი ქართული ბანკნოტების გამოაშკარავებასა და ფულის მასის ცირკულაციიდან ამოღებას.

ვინ შეიძლება მდგარიყო ქართული ბონების მასობრივად გაყალბება-გასაღების სპეცოპერაციის უკან?

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ყველაზე პროფესიონალურად და ეფექტურად ქართული ფულის მასობრივად გაყალბებისა და შემდგომ მისი გასაღების სპეცოპერაციას ჩაატარებდა ის უწყება, რომელიც თვითონ პასუხისმგებელი იყო აღნიშნული საქმიანობის აღკვეთაში. როგორც უკვე ითქვა კვლევის შესავალში, ფინანსურ დაზვერვას ევალება ფულის გაყალბება-გავრცელების აღკვეთა. აღნიშნული სპეცსამსახურის თანამშრომლებს აქვთ დიდი გამოცდილება და ძალიან კარგად ესმით თუ როგორ მუშაობს ფულის გაყალბების პროცესი.

საბჭოთა რუსეთის ფინანსური დაზვერვის სამსახური შედიოდა საბჭოთა რუსეთის უშიშროების - საგანგებო კომისიის (ჩეკა-ს) ქვედანაყოფში. ფინანსური დაზვერვა ექვემდებარებოდა ჩეკა-ს სპეკულაციასთან ბრძოლის განყოფილებას.²⁵ სწორედ აღნიშნული განყოფილება იყო პასუხისმგებელი სრულიად საბჭოთა რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის მასშტაბით გამოევიდინა და აღეკვეთა სხვადასხვა სახის ფინანსური დანაშაული.²⁶

1921 წლის ომის დროს სწორედ აღნიშნულ სამსახურს უნდა დავალებოდა ფინანსური სპეცოპერაციის ჩატარება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის დესტაბილიზაციისათვის.

ის ფაქტი რომ ომის დაწყებიდან მე-9 დღეს ფინანსთა სამინისტრომ გაავრცელა დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის ყალბი ბანკნოტები შემოდიოდა საქართველოში და ასევე საკუთარ განცხადებაში აღნიშნა კონკრეტული ქალაქებიც - კავკავი და ნაზრანი, სადაც იბეჭდებოდა ყალბი ქართული ბონები, გვაფიქრებინებს, რომ ქართულმა სპეცსამსახურებმა ზუსტად იცოდნენ აღნიშნული ოპერაციის დეტალები. ფაქტი იმისა, რომ ქართული უშიშროება ფლობდა ინფორმაციას თუ სად, რომელ ქალაქში იყო განთავსებული ყალბი ფულის საბეჭდი მანქანები, გვამღევეს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ქართული დაზვერვა უფრო კონკრეტულ ინფორმაციასაც ფლობდა: ქართულმა მხარემ იცოდა ყალბი ფულის ბეჭდვის კონკრეტული ადგილსამყოფელი კავკავში და ნაზრანში, ასევე ფლობდა ინფორმაციას იმ პირებზე, რომლებიც ჩართულები იყვნენ ამ საიდუმლო სპეცოპერაციის დაგეგმვა-განხორციელებაში. რა თქმა უნდა აღნიშნული დეტალები მიწოდებული იყო

²⁵ Всероссийская Чрезвычайная Комиссия по борьбе с контрреволюцией и саботажем (ВЧК), отдел по борьбе со спекуляцией.

²⁶ გაზეთი „Собрание Узаконений и Распоряжений Правительства“, №66, 1918 წ., გვ.1.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვისაც. ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში ნათლად იყო დაფიქსირებული პოზიცია, რომ ქართული სპეცსამსახურები ფლობდნენ ზუსტ ინფორმაციას, რა სახის ფულის გაყალბება მიმდინარეობა საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე და საჯაროდ უთითებდნენ კიდევ კონკრეტულ ადგილს, სადაც იყო განთავსებული აღნიშნული ფულის საბეჭდი მანქანები.

ქართული ბონის მასობრივად გაყალბების სპეცოპერაციიდან ჩვენ ვიგებთ ბევრ ძალიან მნიშვნელოვან დეტალს, კერძოდ:

- 1) ყალბი ბანკნოტებით საქართველოს ეკონომიკის "დაბომბვა" დაიგეგმა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, რადგან შესაბამისი სპეცოპერაციის გეგმის შემუშავებას, შესაბამისი საბეჭდი დაზგებისა და ლითოგრაფიული ყალიბების ჩამოსხმას სჭირდება შესაბამისი დრო. ასევე, ყალბი ფულის საქართველოში გასაშვებად საჭირო იქნებოდა საკმაოდ დიდი რაოდენობის წინასწარ დაბეჭდილი ბანკნოტების მარაგის შექმნა, საუბარია მილიონობით ყალბი ქართული ბონების რეზერვის შექმნაზე, რომელსაც უნდა გამოეწვია სავაჭრო-ბიზნეს საქმიანობების სრული პარალიზება საქართველოში, სამხედრო მოქმედებების პარალელურად.
- 2) რუსეთის საბჭოთა სარდლობა სერიოზულად განიხილავდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის დროში განგრძობადობის სცენარს. რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა დარწმუნებული რომ ყოფილიყო თავის სამხედრო პოტენციალში, სამხედრო სამზადისის პარალელურად ფინანსური შეტევის ოპერაციას არ დაიწყებდა, რადგან აზრს იქნებოდა მოკლებული. ყალბი ფულით მოწინააღმდეგე ქვეყნის ეკონომიკის "დაბომბვას" აზრი აქვს ომის დროში გაწელვის შემთხვევაში, როდესაც სამხედრო მოქმედებები გრძელდება რამდენიმე თვე, რამდენიმე წელი. ამ დროს ფინანსური შეტევა ძალიან ეფექტიანია, რადგან იწვევს ოპონენტი სახელმწიფოს ეკონომიკის პარალიზებას, აქვეითებს მის თავდაცვითუნარიანობას და ახდენს საზოგადოებაში არეულობის შეტანას, იწვევს ე.წ. სედიციის ეფექტს.²⁷
- 3) საბჭოთა ფინანსური დაზვერვის უწყებებმა გაყალბებისთვის "მიზანში ამოიღეს" სწორედ 1000 მანეთის ნომინალის ქართული ბანკნოტები, რადგან

²⁷ სედიცია (ინგლისურად Seditio) - ბრიტანული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს გამიზნულ საქმიანობას, საზოგადოებაში მღელვარებისა და არეულობის შესატანად, რომლის მთავარი ამოცანაა კანონიერი ხელისუფლების დამხობა აჯანყებისა და რევოლუციის გზით.

აღნიშნული ფულადი ერთეული წარმოადგენდა უმაღლესი ნომინალის - 5000 მანეთის ნომინალის ბანკნოტის შემდგომ რიგით მეორე ყველაზე მაღალ საფასო ფულად ერთეულს, რომელიც იბეჭდებოდა უჭვირნიშნოდ. მისი გაყალბება, 5000-მანეთიანი ბანკნოტებისგან განსხვავებით, არ წარმოადგენდა დიდ ბარიერს საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის. ასევე, 1000-მანეთიანი ბანკნოტების ნომინალური ღირებულებიდან გამომდინარე მისი გაყალბება იქნებოდა ძალიან ეფექტური.

5000-მანეთიანი ნომინალის ბანკნოტების ბეჭდვა 1921 წლის 1 თებერვლიდან დაიწყო, შესაბამისად 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დასაწყისისთვის ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობა სწორედ 1000-მანეთიანი ბანკნოტებით უნდა მომხდარიყო საქართველოს ტერიტორიაზე. ინფლაციის გათვალისწინებით საზოგადოებაში ყველაზე დიდი მოთხოვნა სწორედ აღნიშნულ ფულის კუპიურებზე უნდა ყოფილიყო, მანამ სანამ ახლად დამტკიცებული 5000-მანეთიანი ბანკნოტების დაბეჭდვა და გავრცელება დაიწყებოდა სამომხმარებლო მასაში. აღნიშნული ფაქტორიც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსული დაზვერვისათვის 1000-მანეთიანი ქართული ბონების გასაყალბებლად. საქართველოსთან ომის დროში გაწელვის შემთხვევაში, სწორედ ამ ბანკნოტების დიდი რაოდენობით გაყალბება-გასაღების ოპერაციას უნდა მოეხდინა საქართველოს ეკონომიკის პარალიზება და შესაბამისად საქართველოს თავდაცვითუნარიანობის შესუსტება.

- 4) რუსეთის უშიშროების მკაცრად გასაიდუმლოებული სპეცოპერაცია მალევე გამოაშკარავდა. რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას ქართული სპეცსამსახურები იყვნენ სრულ მზადყოფნაში ომის მიმდინარეობისას ნებისმიერი სახის სპეკულაციის აღსაკვეთად. აღნიშნულზე კვლევის მიმდინარეობისას ვისაუბრებ დეტალურად.

როგორც უკვე ითქვა, მილიონობით ყალბი ქართული ბანკნოტები იბეჭდებოდა ქალაქ ვლადიკავკაზსა და ნაზრანში. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ქალაქების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. სწორედ ამიტომ, შემთხვევით არაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას 1918-1921 წლებში ჰქონდა შექმნილი მძლავრი აგენტურული ქსელი ჩრდილოკავკასიაში, რომლის ცენტრსაც სწორედ ვლადიკავკაზი (კავკავი) წარმოადგენდა, სადაც განთავსებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსულო, რომელიც დიპლომატიური საქმიანობის საფარქვეშ

ახორციელებდა სადაზვერვო ოპერაციებს.²⁸ სწორედ აღნიშნული უწყებების დამსახურება უნდა ყოფილიყო ქართული ფულის გაყალბებასთან დაკავშირებული ოპერატიული ინფორმაციის მალევე მიწოდება პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის.

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ანალიზისას ნათლად ჩანს საქართველოს მთავრობის სრული მზადყოფნა რუსეთის უშიშროების მხრიდან ნებისმიერი სახის სპეკულაციის შესაძლო განხორციელებაზე:

- 1) 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებისთანავე შესაძლო არეულობებისა და სპეკულაციური ხასიათის საქმიანობების თავიდან აცილების მიზნით დაწესდა კომენდანტის საათი 22:00 საათიდან დილის 06:00 საათამდე;²⁹
- 2) 16 თებერვალს გამოიცა შესაბამის განკარგულებათა ნუსხა, რომლის მიხედვითაც ღამის საათებში დედაქალაქში დაიწყო პატრულირება მილიციამ და სამხედრო დანაყოფებმა;³⁰
- 3) აიკრძალა ყოველგვარი მიტინგი და სახალხო შეკრება, წინასწარ თბილისის მილიციის უფროსის, პოლკოვნიკ ვლადიმერ სულაქველიძის საქმის კურსში ჩაყენების გარეშე;
- 4) შესაძლო ბოლშევიკური აგიტაციისა და საზოგადოებაში დეზინფორმაციის შეტანის აღსაკვეთად საქართველოში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს დაევაღათ გამოცემული ნომრის თითო ეგზემპლარი ჩაებარებინათ თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში გადასახედად;
- 5) სპეციალური განკარგულებით, საქართველოს ძალოვანმა უწყებებმა დაიწყეს 24 საათიანი აღრიცხვა უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეების, რომლებიც ცხოვრობდნენ სასტუმროებსა და ბინებში ქირით. მკაცრად კონტროლდებოდა საბინაო დავთრებში შეტანილი ყოველი ცვლილება;³¹
- 6) ამიერიდან საბოტაჟის მცდელობისათვის, აგენტურული საქმიანობისა თუ სპეკულაციური ქმედებებისთვის დაპატიმრებული პირები, მათ შორის ფულის გაყალბება-გასაღებისთვის დაკავებული მოქალაქეები გადაეცემოდნენ სამხედრო სასამართლოს;³²

²⁸ დავით ხვადაგიანი, „კავკასელი: საიდუმლო ომი დარიალის კართან“, თბილისი, 2021 წ., <https://civil.ge/ka/archives/443462>

²⁹ გაზეთი „საქართველო“, №37, 1921 წ., გვ.3.

³⁰ იქვე.

³¹ გაზეთი „ერთობა“, №37, 1921 წ., გვ.2.

³² იქვე.

7) შეიქმნა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და საფინანსო უწყებების გაერთიანება - სპეციალური ფინანსური კომისია.

1921 წლი ომის დროს, საქართველოს უშიშროებამ ოპერატიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დააპატიმრა საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა სომხეთისა და საბჭოთა აზერბაიჯანის დიპლომატიური მისიები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ სადაზვერვო საქმიანობაში. თავისუფლად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დიპლომატიური იმუნიტეტის საფარქვეშ მოქმედი საბჭოთა აგენტურა ჩართული ყოფილიყო კავკავიდან და ნაზრანიდან დიდი რაოდენობით ქართული ბანკნოტების შემოტანა-გასაღებაში.

სამწუხაროდ შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო ამ დროისთვის შეუძლებელია მტკიცებით ფორმაში ვისაუბროთ პირველი რესპუბლიკის მიმართ ჩადენილ ფინანსურ დანაშაულში საქართველოში მოქმედი საბჭოთა დიპ.კორპუსის ჩართულობაზე.

რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე შეიქმნა სპეციალური კონტრსადაზვერვო ქსელი, რომელსაც ევალეზოდა საბჭოთა აგიტატორებისა და სპეკულანტების გამოვლენა-დაპატიმრება. მაგალითისთვის, 1921 წლის 20 თებერვალს, თბილისში მოქმედმა მილიციის აგენტურამ გამოავლინა და დააკავა ექვსი პირი, რომელთაც ბრალი ედებოდათ სპეკულაციურ საქმიანობაში. დაპატიმრებულები გადაეცნენ სამხედრო სასამართლოს.³³

საქართველოში დიდი რაოდენობით ყალბი ბანკნოტების შემოდენისა და არსებული ეკონომიკური კრიზისის გადასაჭრელად დაარსდა "მთავარი ფინანსური კომისია", რომელშიც შედიოდა შემდეგი საფინანსო უწყებები:

- 1) საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი;
- 2) ამიერკავკასიის ბანკი;
- 3) იტალო-კავკასიის ბანკი;
- 4) საქართველოს ვაჭართა ბანკი;
- 5) საქართველოს მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგადოება.

მთავარი ფინანსური კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს პარმენ გოთუა, გამოცდილი ეკონომისტი, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ხმოსანი და თბილისის თვითმმართველობის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.³⁴

³³ გაზეთი „ერთობა“, №39, 1921 წ., გვ.1.

³⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №41, 1921 წ., გვ.2.

ქვეყანაში არსებული მწვავე ეკონომიკური კრიზისის გამო, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება გადასახადებზე ერთი თვით სრული მორატორიუმი გამოეცხადებინა.³⁵

³⁵ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №41, 1921 წ., გვ.2.

დასკვნა

2022 წლის გადმოსახედიდან, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გასვლიდან 100 წლის შემდგომ, რთულია ზუსტად ვთქვათ რა სახის ეკონომიკური ზიანი მიაღწა საქართველოს, ეროვნული ფულადი ნიშნების მასობრივად გაყალბება-გასაღების ოპერაციიდან.

თუმცა, სტატისტიკა მეტყველებს, რომ საქართველოს გასაბჭოებიდან მალევე ბონის მსყიდველუნარიანობა მკვეთრად შემცირდა და საგრძნობლად გაიზარდა ინფლაციის დონე ქვეყანაში:³⁶



საქართველოს გასაბჭოებამდე, თებერვლის თვეში, ქართული ბონის თვითღირებულებამ ერთ ოქროს მანეთთან შეადგინა 2000:1-ზე³⁷, მაშინ როდესაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის მეორე თვეს, აპრილში

³⁶ ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, თბილისი, 2018 წ., გვ. 41.

³⁷ ოქროს მანეთი იგივე ოქროს რუბლი - რუსეთის იმპერიის ოქროს ფულადი ერთეული, რომელიც შემოღებულ იქნა 1897 წლის ფულადი რეფორმის შედეგად ქვეყანაში ოქროს მონომეტალიზმის დამკვიდრებით.

თანაფარდობამ 7700:1-თან შეადგინა. ოკუპაციიდან ერთ თვეში ქართული ბონი 3.828-ჯერ გაუფასურდა.

1921 წლის მიწურულს, დეკემბრის თვეში, ოქროს მანეთთან ბონის თანაფარდობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია: 2872800 ქართული ბონი - ერთ ოქროს მანეთთან.

საქართველოს გასაბჭოების პირველ წელს ეროვნული ფულადი ნიშნები დაახლოებით 28.728-ჯერ გაუფასურდა ოქროს მანეთთან მიმართებაში.

ეროვნული ფულადი ნიშნების რეკორდულად გაუფასურებისა და ჰიპერინფლაციის დაწყების ფონზე რეკორდულად გაიზარდა ფულის ბეჭდვაც საქართველოში.

მაგალითისთვის, 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოსცა 7.3 მილიარდი მანეთის ღირებულების ბონი, როდესაც საბჭოთა საქართველოს მთავრობის მიერ დეკემბრის თვეში დაბეჭდილ ბონთა ნომინალურმა რაოდენობამ - 29 მილიარდი შეადგინა.³⁸

რა თქმა უნდა ქართული ბონის მსყიდველუნარიანობის დაქვეითებაში გავლენას იქონიებდა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული დიდი რაოდენობით ყალბი ბანკნოტებიც, თუმცა კონკრეტულად რა სახის ზიანი მიიღო საქართველოს ეკონომიკამ და რა სახის გავლენა იქონია აღნიშნულმა სპეცოპერაციამ ქართული ბონის კურსზე და ინფლაციაზე არასაკმარისი ინფორმაციის გამო სამწუხაროდ ამ ეტაპზე შეუძლებელია ითქვას.

³⁸ ნიკოლოზ სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, თბილისი, 2018 წ., გვ.41.

ქართული სპეცსამსახურების "ვენდეტა" საქართველოს გასაბჭოებიდან მეხუთე წელს

1925 წელს ევროპაში გადასულმა ქართული ემიგრაციის ნაწილმა განიძრახა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დასასუსტებლად გამოეცათ ყალბი საბჭოთა ფულადი ნიშნები.

სსრკ-ში არსებული ჰიპერინფლაციის გამო, საბჭოთა ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო მონეტარული რეფორმების გატარება, რომელიც ისტორიაში "1922-1924 წლების ფულადი რეფორმების" სახელით არის ცნობილი.³⁹ გაუფასურებული საბჭოთა რუბლი და საბჭოთა ბონები ჩანაცვლდა ოქროთი გამყარებული ვალუტით - საბჭოთა ოქროს მანეთითა და ჩერვონეცის კუპიურებით.

1924 წლის 15 თებერვლის დადგენილებით, სრულიად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეწყდა რეფორმამდელი საბჭოთა კუპიურების გამოშვება.⁴⁰ ასევე, 1924 წლის 15 თებერვლის დადგენილებით, შეწყდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ბონების გამოშვებაც.

სწორედ აღნიშნული ფულადი რეფორმის გატარების ხელშესაშლელად და საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური ზიანის მისაყენებლად, 1924 წელს საფრანგეთში შექმნილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი, სადაზვერვო ორგანიზაცია "თეთრი გიორგის" წევრების ნაწილმა გამოთქვა იდეა მასობრივად გაეყალბებინათ და გაესაღებინათ საბჭოთა ჩერვონეცები, სსრკ-სთვის ეკონომიკური ზიანის მისაყენებლად.

გერმანიის ხელისუფლებასთან შეთანხმებით თეთრი გიორგის წევრებმა დაიწყეს დიდი რაოდენობით საბჭოთა ჩერვონეცების დაბეჭდვა და შემდგომ გასაღება სსრკ-ში.

აღნიშნულ სპეცოპერაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, შალვა ქარუმიძე.

შალვა ქარუმიძე იყო იურისტი, ეკონომისტი, ბანკირი და ბიზნესმენი. მან, როგორც პირველი რესპუბლიკის დეპუტატმა ხელი მოაწერა საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტს. პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად ძმასთან ერთად

³⁹ Steven M. Efremov., „The Role of Inflation in Soviet History: Prices, Living Standards, and Political Change“, აღმოსავლეთ ტენესის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ.30.

⁴⁰ იქვე.

დააარსა საკრედიტო ბანკი სოფელ თორტიზაში, შექმნა მატყლის დამამზადებელი ამხანაგობა „მწყემსი“ ხევსურეთში.⁴¹

შალვა ქარუმიძემ შესანიშნავად იცოდა საბაკნო სფერო და ფინანსები, ამიტომაც გასაგები ხდება თუ რატომ დაევალა კონკრეტულად მას საბჭოთა ბანკნოტების გაყალბება-გასაღების სპეცოპერაციის ორგანიზება.

აღნიშნული სპეცოპერაცია აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოძახილი და პასუხი იმ ფინანსური დანაშაულისა, რაც ჩაიდინა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ, 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

საქართველოს ოკუპაციის მეხუთე წლისთავზე, ქართულმა სპეცსამსახურებმა წამოიწყეს იგივე "ეკონომიკური ომი", რაც თავის დროზე რუსეთის დაზვერვამ განახორციელა საქართველოს ეკონომიკის დასასუსტებლად.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია "თეთრი გიორგის" აღნიშნული სპეცოპერაცია ცნობილია, როგორც ე.წ. "ჩერვონცების საქმე", მისი დეტალურად გაცნობა კი ახალი კვლევის საგანია.

⁴¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, შალვა ქარუმიძის ბიოგრაფია.

<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000181/>

ბიბლიოგრაფია

1) საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი (სცსა):

1. სცსა. ფ. №1863; აღ.1, ს. 543;
2. სცსა. ფ. №1836; აღ. 1 ს. 309;
3. სცსა. ფ. №1833; აღ. 1, ს. 1202.

2) წიგნები, სტატიები, კვლევები:

4. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი“, თბილისი, 2018 წ;
5. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ი. იაკობაშვილი, მ. ხოსიტაშვილი, ე. ჯგერენაია, „საქართველოს დამფუძნებელი კრება : სხდომის ოქმები : ტომი VII“, თბილისი, 2019 წ;

საქართველოს ეროვნული არქივის მხარდაჭერით შესრულებული ჩემი კვლევები:

6. ნ. სეფიაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო, პირველი ქართული ფულადი ნიშნების ემისია 1918-1921 წლებში“, თბილისი, 2018 წ;

კვლევის გაცნობა შესაძლებელია ონლაინ, მითითებულ ბმულზე:

https://archive.gov.ge/storage/old_files/doc/3/3936.pdf

7. ნ. სეფიაშვილი, „ერთ ბანკნოტში ჩატეული საქართველოს ისტორია“, თბილისი, 2021 წ;

კვლევის გაცნობა შესაძლებელია ონლაინ, მითითებულ ბმულზე:

https://archive.gov.ge/storage/files/doc/banknotshi_chateuli_sakartvelos_istoria.pdf

3) ჟურნალ-გაზეთები:

8. გაზეთი „ემშაკის მათრახი“, №13, 1920 წ;

9. გაზეთი „ერთობა“, №37, 1921 წ;
10. გაზეთი „ერთობა“, №39, 1921 წ;
11. გაზეთი „ერთობა“, №43, 1921 წ;
12. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №41, 1921 წ;
13. გაზეთი „საქართველო“, №37, 1921 წ.
14. გაზეთი „Собрание Указаний и Распоряжений Правительства“, №66, 1918 წ;

4) ონლაინ რესურსები:

15. საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური:
<https://www.fms.gov.ge/geo/page/about>
16. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური:
<http://is.ge/ka-ge/>
17. ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ დანაშაულებთან ბრძოლის სააგენტო:
<https://www.fincen.gov/about/mission>
18. ეგმონტის ჯგუფი:
<https://egmontgroup.org/en>
19. გაეროს ხელშეკრულებების კრებული:
<https://treaties.un.org/pages/LONViewDetails.aspx?src=LON&id=559&chapter=30&clanng=en>
20. დავით ხვადაგიანი, „კავკასელი: საიდუმლო ომი დარიალის კართან“, (2021):
<https://civil.ge/ka/archives/443462>
21. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, შალვა ქარუმბის ბიოგრაფია:
<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000181/>
22. Steven M. Efremov., „The Role of Inflation in Soviet History: Prices, Living Standards, and Political Change“, (2012):
<https://dc.etsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2667&context=etd>
23. Фонд Последний Адрес, „Москва, Большая Дмитровка, 23“:
<https://www.poslednyadres.ru/news/news165.htm>

Introduction

During wars, great importance is attached to the economic potential of the enemy. The financial crisis reduces the economic efficiency of the enemy country, which directly affects its combat readiness and defense. This is the reason, why for thousands of years, the nations actively waged an “economic war” with the enemy country in parallel with military operations, appearing in the economic blockade of the enemy nation; control of strategic trade facilities and roads; assistance to the purposeful activities of speculators and agents to provoke an artificial economic crisis and destabilization, and etc.

A weakened economy leads to disruption of production in the country and the unstable functioning of state bodies, which, along with many other concomitant factors, negatively affects the combat readiness of this state.

One of the methods of "economic warfare" is to artificially raise the enemy's inflation. One of the ways to artificially increase the inflation rate in the enemy state is to issue a large number of counterfeit banknotes and distribute them among the population.

The most famous money counterfeiting operation in human history is known as "Operation Bernhard". During World War II, Nazi Germany developed a secret operation to destabilize the economies of Great Britain and the United States, which was organized by the Third Reich intelligence service, SD. (Intelligence Service Agency of SS - SicherheitsDienst - SD).

According to the plan, millions of counterfeit British pounds should to be printed, the massive distribution of which throughout the country would lead to economic destabilization. Later, counterfeiting of US dollar bills was also planned by the SD service.⁴²

